აღნიშნული დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ლისბეტ რაუსინგისა და პიტერ ბოლდვინის საქველმოქმედო ფონდი არკადიას მხარდაჭერით

საძოვრების მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის მიმოხილვა

2020

სარჩევი

01 საძოვრების მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ძირითადი ხარვეზები 5

02 მიწის კატეგორიები 7

03 სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის შესახებ მონაცემები 8

04 საძოვრების მნიშვნელობა ეკოსისტემისთვის, საფრთხეები და მათი გადაჭრის გზები 9

4.1 საქართველოს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“ 10

4.2 საქართველოს კანონი „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ 11

4.3 სხვა ნორმატიული აქტების მიმოხილვა, რომელიც საძოვრების მართვას უკავშირდება 12

05 კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება 13

06 ეროვნული სტრატეგიები და მათი შესრულება 15

6.1 2014–2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა..... 15

6.2 კახეთის რეგიონის განვითარების 2014–2021 წლების სტრატეგია..... 16

6.3 საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 17

07 დაცული ტერიტორია და საძოვრები..... 18

8.1 საქართველოს კანონი „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“..... 21

8.2 მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო 22

8.3 მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილება 24

შესავალი

„საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის – საბუკო“ 2019 წლის 1 იანვრიდან მუშაობს მდინარე ივრის ჭალის ტყეებისა და მიმდებარე ტერიტორიების აღდგენის ხელშეწყობისათვის.

პროექტის ფარგლებში, მიწის საფარის მდგომარეობა შეფასდა ჭაჭუნას აღკვეთილის ტერიტორიის 748.1 ჰექტარზე (ჭაჭუნას აღკვეთილის საერთო ფართობი 5032 ჰა)[1].

[1] *საძოვრების მართვის გეგმა ჭაჭუნას აღკვეთილისთვის. რეკომენდაციები შემუშავებულია დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის. შემუშავებულია საბუკოს მიერ დოქტორ მარინუს გებჰარდტთან ერთად. თბილისი 2019*

ჭაჭუნას აღკვეთილში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მიწის საფარის მნიშვნელოვანი ნაწილი დეგრადაციის ქვეშაა:

- ხის საფარი/წყალი – 16.3 ჰა;
- კარგი – 216.0 ჰა;
- დეგრადირებული – 233.6 ჰა;
- კრიტიკული – 55.9 ჰა;
- უსიცოცხლო/ბეარლენდი – 226.2 ჰა.

„გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის დამტკიცების შესახებ“[1] საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, საქართველოში არსებულ საძოვრებზე, მათ შორის, ივრის ზეგანსა და მიმდებარე ტერიტორიებზე, დატვირთვა დაახლოებით 1994 წლიდან გაიზარდა, მას შემდეგ, რაც მწყემსები აღარ იყენებდნენ ყიზლარის ზამთრის საძოვრებს. გადაჭარბებულმა ძოვებამ კი საქართველოს ტერიტორიაზე გამოიწვია სერიოზული პრობლემები, მათ შორის ხაზგასასმელია ბალახოვანი საფარის დაკნინება, დამლაშება, ე.წ ბედლენდების („ცუდი მიწები“) მომრავლება და ჭალის ტყეების შემცირება.

ჭაჭუნას ჭალის ტყეს ძირითადად საფრთხეს უქმნის:

- მცენარეული საფარის ჩეხვა;
- ძოვება;
- დალის წყალსაცავის მიერ გამოწვეული წყლის რეჟიმების დარღვევა.

მცენარეული საფარის გაღარიბებისა და ნიადაგის დამლაშების, ეროზიის გამო, ცხვრის გადასვლა მოხდა მდინარის ნაპირებთან ახლოს.

ჭარბი ძოვება უარყოფითად მოქმედებს ბიომრავალფეროვნებაზე, რაც ველური ცხოველების ჰაბიტატის შემცირებაში გამოიხატება.

ნაშრომის მიზანია, განხილვა, იმისა, თუ რამდენად განსაზღვრავს ეროვნული კანონმდებლობა საძოვრების მდგრადი მართვისთვის საჭირო ღონისძიებებსა და რამდენად პასუხობს დღეისათვის არსებულ ერთ-ერთ მწვავე პრობლემას – მიწის საფარის დეგრადაციას.

1. საძოვრების მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ძირითადი ხარვეზები

კანონმდებლობის შესწავლის შემდგომ გამოიკვეთა ის ძირითადი ხარვეზები, რომელიც დღეს ვერ უზრუნველყოფს საძოვრების მდგრად მართვას. ესენია:

[1] *საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება **2.04.2003 №112** „გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის დამტკიცების შესახებ (https://bit.ly/2Wr8VOl)*

- ერთიანი, კონსოლიდირებული ნორმატიული აქტის არარსებობა, რომელიც უშუალოდ მიმართული იქნება საძოვრების მართვის დარეგულირებაზე;
- რეგულაციების გაბნევა მრავალ ნორმატიულ აქტში;
- არარსებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და დაურეგულირებელი საკითხები;
- აქტები, რომლებშიც არ მომხდარა ინფორმაციის განახლება;
- მიწის მართვის პოლიტიკის არარსებობა.

ძირითადი საკანონმდებლო ხარვეზების შესახებ აღნიშნულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 დეკემბრის №742 დადგენილებაში „გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის დამტკიცების შესახებ“[1], რომელშიც ვკითხულობთ: „საქართველოს არ გააჩნია სოფლის მეურნეობის დარგში კონსოლიდირებული, ჩარჩო კანონის ტიპის, საკანონმდებლო აქტი, რომელიც მოახდენდა სოფლის მეურნეობასთან უშუალოდ დაკავშირებული ნორმების ფართო სპექტრის სისტემატიზაციას“; “საჭიროა მიღებული იქნეს კონსოლიდირებული, ჩარჩო კანონის ტიპის, საკანონმდებლო აქტი მიწის რესურსების მდგრადი მართვის სფეროში, რომელიც მოახდენდა ამ სფეროსთან უშუალოდ დაკავშირებული ნორმების ფართო სპექტრის სისტემატიზიაციას (მაგ.მიწის კოდექსი ან კანონი „მიწის შესახებ“)“ – სამწუხაროდ, საკანონმდებლო ხარვეზები დღემდე არ გამოსწორებულა.

აგრეთვე, არასახარბიელო მდგომარეობაა მიწის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებით. გაუდაბნოებასთან ბრძოლის მეორე ეროვნულ პროგრამაში როგორც ვკითხულობთ: „ვინაიდან პოლიტიკის განმსაზღვრელ ეროვნულ თუ რეგიონულ დოკუმენტებს გააჩნიათ სუსტი კავშირი მიწის რესურსების მდგრადი მართვის, გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლის, ბიომრავალფეროვნებისა და კლიმატის ცვლილების თავიდან აცილების საკითხებთან, საჭიროა შემუშავებული იქნეს პოლიტიკის განმსაზღვრელი კომპლექსური ხასიათის დოკუმენტები (მიზნობრივი და თემატური პროგრამები, მოქმედებათა გეგმები და სხვ.)“ – დღემდე ამ მხრივაც, არ შეცვლილა სიტუაცია.

გარდა იმისა, რომ რეგულაციები გაბნეულია სხვადასხვა ნორმატიულ აქტში, რამდენიმე მათგანი შეიცავს მოძველებულ ინფორმაციას პასუხისმგებელი ორგანოების შესახებ, რაც მცდარ ინფორმაციას აწვდის მკითხველს; აგრეთვე, რიგ საკანონმდებლო აქტებში, არ ჩანს სხვადასხვა ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებები.

*1 საქართველოს მთავრობის დადგენილება **29.12.2014 №742** „გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის დამტკიცების შესახებ“ **(https://bit.ly/2yjiKpz)***

2. მიწის კატეგორიები

საქართველოს მიწის ფონდი მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს, მათ შორის, ტყითა და წყლის ობიექტებით დაკავებულ მიწებს[1].

უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის ნაკლს წარმოადგენდა ერთმანეთისგან განსხვავებული განმარტებები სასოფლო-სამეურნეო მიწის შესახებ. განსაზღვრებების ჩასწორება მოხდა 2019 წლის 25 ივნისს, საქართველოს კანონის „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ და საქართველოს კანონის „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ მიღების შემდგომ. სასოფლო-სამეურნეო მიწა განიმარტა როგორც: **საძოვრის, სათიბის, სახნავის (მათ შორის, მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული) ან საკარმიდამოს კატეგორიის მიწა, რომელიც გამოიყენება ან რომლის გამოყენებაც შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე.**

ამგვარად, საკანონმდებლო აქტებში (გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსისა) დაზუსტდა სასოფლო-სამეურნეო მიწის განმარტება. საქართველოს საგადასახო კოდექსში, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განმარტება მისი კატეგორიების ჩამოთვლით შემოიფარგლება, როგორიცაა: სახნავი, სათიბი, საძოვარი და საკარმიდამო.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- საძოვარი;
- სათიბი;
- სახნავი (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული);
- საკარმიდამოს კატეგორიის მიწა.

2019 წლამდე, საქართველოს კანონმდებლობა არ განმარტავდა რას ნიშნავდა საძოვარი და სათიბი. საქართველოს კანონის „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ მიღების შემდგომ, კანონმდებლობაში პირველად გაჩნდა ჩანაწერი სასოფლო-სამეურნეო მიწის თითოეულ კატეგორიაზე, მათ შორის სათიბსა და საძოვარზე.

- **საძოვარი** – ბალახოვანი მცენარით ან/და ბუჩქოვანი მცენარით (ბუნებრივი ან გაკულტურებული) დაფარული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოიყენება ცხოველის საძოვებლად (გამოსაკვებად), მასზე არსებული სამეურნეო ნაგებობით ან/და დამხმარე ნაგებობით ან მის გარეშე, ან მიწის ნაკვეთი, რომელიც, მისი ნიადაგურ-კლიმატური პირობებისა და ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, შეიძლება ამ მიზნით იქნეს გამოყენებული;

[1] *საქართველოს კანონი „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“, 2019 წ (https://bit.ly/3b2isRf)*

- **სათიბი** – ბალახოვანი მცენარით ან/და ბუჩქოვანი მცენარით (ბუნებრივი ან გაკულტურებული) დაფარული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოიყენება თივის, სენაჟის, სილოსის, ბალახეული ფქვილის ან ცხოველის სხვა დამატებითი საკვების დასამზადებლად, მასზე არსებული სამეურნეო ნაგებობით ან/და დამხმარე ნაგებობით ან მის გარეშე, ან მიწის ნაკვეთი, რომელიც, მისი ნიადაგურ-კლიმატური პირობებისა და ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, შეიძლება ამ მიზნით იქნეს გამოყენებული;

მიუხედავად, 2019 წელს ახალი ნორმატიული აქტების შემუშავებისა, კვლავ ზოგადი დარჩა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განმარტება. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა არის მიწა, რომელიც არ არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (ეს განმარტება გადმოვიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან).

3. სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის შესახებ მონაცემები

დღეისათვის, არ არსებობს დაზუსტებული მონაცემები, როგორც სახელმწიფო, აგრეთვე კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობებისა და მათი განაწილების, სათიბ-საძოვრების შესახებ. ამ პრობლემის გამომწვევი რამდენიმე მიზეზი არსებობს:

- 1990-იანი წლებში მიწის პრივატიზაციის დროს მიწის ნაკვეთების განაწილება საველე აგეგმვითი სამუშაოების ჩატარების გარეშე;
- 2004 წლიდან არ გაკეთებულა მიწის ბალანსი.

დაუზუსტებელი ფართობები ართულებს სოფლის მეურნეობის განვითარებისთის გასატარებელი ღონისძიების დაგეგმვას, ამასთან, დღემდე არ არის განსაზღვრული უწყება, რომელიც საერთო საკუთრების საძოვრების რაციონალურ გამოყენებაზე იქნებოდა პასუხისმგებელი.

დაუზუსტებელი მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო მიწის დაახლოებით 56% სახელმწიფოს საკუთრებაშია. საძოვრების დიდი ნაწილი კი კახეთშია, რომლის 63% სახელმწიფო, ხოლო – 37% კერძო საკუთრებას წარმოადგენს. კახეთის საძოვრების დიდი ნაწილი კი – ახმეტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტშია.

4. საძოვრების მნიშვნელობა ეკოსისტემისთვის, საფრთხეები და მათი გაღატრის გზები

საქართველოს ორგანული კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ “ მიწას აღიარებს სახელმწიფოს ეროვნულ სიმდიდრედ, რომელსაც სახელმწიფოებრივი ამოცანების შესრულებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების რეალიზებისთვის განსაკუთრებული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და კულტრული ღირებულება აქვს.

საქართველოს კონსტიტუციით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსია. გარდა რესურსისა, კარგ მდგომარეობაში არსებული საძოვარი, ხელს უწყობს ეკოსისტემის მდგრადობას და ამცირებს სტიქიური მოვლენით გამოწვეულ ეფექტს. სათიბ-საძოვრების ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება, მცენარეული საფარის გაუმჯობესება, სხვა ღონისძიებებთან ერთად შესაძლოა განვიხილოთ ბუნებრივი სტიქიური მოვლენების შედეგად, ნიადაგის (მიწის) კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების ერთ-ერთ ღონისძიებად[1].

გაეროს კონვენცია „გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ“[2] მიწის დეგრადაციას განმარტავს როგორც ბიოლოგიური და ეკონომიკური პროდუქტიულობის მქონე ურწყავი, სარწყავი, სახნავი მიწების, საძოვრების, ტყეების კომპლექსების შემცირებას ან დაკარგვას, რაც გამოწვეულია მიწათსარგებლობით, იმ პროცესით ან პროცესებით ერთობლიობით რომლებიც გამოწვეულია ადამიანის საქმიანობით.

დღეისათვის, არ არსებობს ნორმატიული აქტი, რომელიც უშუალოდ საძოვრების მდგრად მართვასა და კონსერვაციას დაარეგულირებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 18 მარტის №36 ბრძანება „წარმოების ტოქსიკური ნარჩენებითა და რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურების შედეგად დეგრადირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და სხვა დანიშნულების მიწების კონსერვაციის შესახებ“ არის ერთადერთი ნორმატიული აქტი, რომელიც უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო მიწის კონსერვაციას ეძღვნება.

---

*[1] საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება **18.03.2005 №36** „წარმოების ტოქსიკური ნარჩენებითა და რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურების შედეგად დეგრადირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და სხვა დანიშნულების მიწების კონსერვაციის შესახებ“ **(https://bit.ly/3badLVf)***

*[2] გაეროს კონვენცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ იმ ქვეყნებში, რომლებიც განიცდიან სერიოზულ გვალვას და/ან გაუდაბნოებას, განსაკუთრებით აფრიკაში **(https://bit.ly/35A5hWv)***

4.1 საქართველოს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“

„ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია უზრუნველყოს ნიადაგის საფარის მთლიანობა, ნაყოფიერების ზრდა და შენარჩუნება. აგრეთვე, მიწათმოსარგებლეთა, მიწათმესაკუთრეთა და სახელმწიფოს მოვალეობისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრა, ნიადაგის დაცვისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების პირობების შესაქმნელად.

კანონში განსაზღვრულია ნიადაგდაცვითი ღონისძიებები და საშუალებები, მათ შორის ერთ-ერთია სათიბ-საძოვრების ნიადაგის დაცვის, მათი ნაყოფიერების ამაღლებისა და მცენარეული საფარის გაუმჯობესების კულტურულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება.

საკანონმდებლო აქტი, მაღალმთიანი საძოვრებისთვის, განსაზღვრავს საძოვართა მონაცვლეობის, ე.წ. როტაციის დამკვიდრებას. ხაზგასასმელია, რომ კანონით როტაციული ძოვება დაწესებულია მხოლოდ მაღალმთიან საძოვრებზე[1].

კანონის თანახმად, ნიადაგის დაცვის მიზნით, აკრძალულია საძოვრების გამწირება (რაც უწესრიგო ძოვებამ გამოიწვია); აგრეთვე, დაუშვებელია მაღალმთიან საძოვრებზე დადგენილ ნორმაზე გადაჭარბებული რაოდენობით ნახირისა და ფარის ძოვება, რაც იწვევს ეროზიულ პროცესებს. აქაც, აკრძალვა მხოლოდ მაღალმთიან საძოვარზე ვრცელდება.

ყურადსაღებია, რომ 2002 წლიდან უნდა მიეღოთ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის ორი ბრძანება:

1. „ეროზიული პროცესების თავიდან ასაცილებლად მაღალმთიან საძოვრებზე ნახირისა და ფარის ვერტიკალური ძოვების წესის დამტკიცების შესახებ“;
2. ეროზიული პროცესების თავიდან ასაცილებლად მაღალმთიან საძოვრებზე ნახირისა და ფარის ძოვებისას და გადაადგილებისას მათი რიცხოვნობის ზღვრული რაოდენობების დამტკიცების შესახებ“.

დღემდე მსგავსი ბრძანება არ არსებობს, შესაბამისად ეს საკითხი კვლავ დაურეგულირებელი რჩება.

პასუხისმგებელი ორგანოები რომლებიც ნიადაგის დაცვისკენ მიმართულ ღონისძიებებს განახორციელებენ განსაზღვრული არ არის. კანონში მხოლოდ ზოგადი ჩანაწერია პასუხისმგებელ უწყებებთან დაკავშირებით, კერძოდ, მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე ნიადაგს იცავენ სპეციალურად ამისათვის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები.

რაც შეეხება რაიონებს, რაიონებში ნიადაგის დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად საჭირო ღონისძიებებს ახორციელებენ შესაბამისი ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები. მათ შეუძლიათ მოითხოვონ და უზრუნველყონ მიწათმესაკუთრისა და

[1] *საქართველოს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“, 1994 წ* **(https://bit.ly/3flRZkT)**

მიწათმოსარგებლის მიერ ნიადაგის დაცვის კანონმდებობით გათვალისწინებული სამუშაოების აუცილებელი შესრულება. აგრეთვე, კონტროლი გაუწიონ იმას, რომ მიწათმოსარგებლეები და მიწათმესაკუთრეები იცავდნენ ნიადაგს.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 დეკემბრის №742-ე დადგენილებაში „გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ვკითხულობთ, რომ არ არსებობს ის აუცილებელი ნორმები, რომლებიც „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში დასახელებული მიზნების მიღწევას უზრუნველყოფდა. ამგვარად, აღსრულების თვალსაზრისით კანონი ფაქტობრივად უმოქმედო საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს.

4.2 საქართველოს კანონი „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“

საქართველოს კანონმა „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ “ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ნიადაგების კონსერვაცია და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესება. ამ მიზნის მისაღწევად, ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების ერთ-ერთ ღონისძიებას წარმოადგენს სათიბ-საძოვრების ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების, მცენარეული საფარის გაუმჯობესებისა და კულტურულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება (კონკრეტულად რა იგულისხმება ამ ღონისძიებებებში, კანონი არ განმარტავს).

მეორე მნიშვნელოვანი ღონისძიება ნიადაგის კონსერვაციისთვის, მხოლოდ მაღალმთიან რეგიონებს ეხება. კანონის თანახმად, ნიადაგების ბუნებრივი საფარის შენარჩუნება-აღდგენისათვის და ეროზიული პროცესების თავიდან ასაცილებლად მაღალმთიან, მთაგორიან, მთისწინა რეგიონებში დაცული უნდა იყოს საძოვრებზე ნახირისა და ფარის ვერტიკალური ძოვების წესი.

ამგვარად, ძოვებასთან დაკავშირებული შეზღუდვები მხოლოდ მაღალმთიანი რეგიონებისთვის და ბიოწარმოებისთვის არსებობს.

კანონი გამოყოფს ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების საშუალებებს. ერთ-ერთი საშუალება კი – მაღალმთიან და მთიან რეგიონებში საძოვართმორიგეობის დამკვიდრებაა.

კანონის თანახმად, აკრძალულია საძოვრების ნიადაგების რღვევა-დაზიანება და ნაყოფიერების დაცემა ნახირისა და ფარის უწესრიგო ძოვებით.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების სფეროში სახელმწიფო მართვასა და ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომლის ერთ-ერთი ფუნქცია მიწათსარგებლობის პირობების დაცვის ზედამხედველობაა.

დღემდე, არ არსებობს ბრძანება „მიწების დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ, რომელიც 2008 წლის 1 იანვრამდე, უნდა გამოეცა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, შესაბამისად, ეს საკითხები დასარეგულირებელი რჩება.

4.3 სხვა ნორმატიული აქტების მიმოხილვა, რომელიც საძოვრების მართვას უკავშირდება

- სასოფლო-სამეურნეო მიწების რაციონალური გამოყენებისთვის ტერიტორიების ნაყოფიერების დონის განსაზღვრისთვის 2013 წლის 31 დეკემბერს მიიღეს საქართველოს მთავრობის №415-ე დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი – „ნიადაგის ნაყოფიერების დონის განსაზღვრის“ და „ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების მონიტორინგის“ დებულების დამტკიცების შესახებ. დებულება არ განსაზღვრავს კონკრეტულ უწყებას, რომელმაც ნაყოფიერების შეფასება უნდა განახორციელოს და ზოგადად მონიტორინგის განხორციელებას ავალებს იმ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ უფლებამოსილება, განახორციელონ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნიადაგების გამოკვლევა, მათი ნაყოფიერების დონის დადგენა და რეკომენდაციების შემუშავება.
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილება „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ სასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყის ფონდის სარგებლობას უშვებს იმ ფორმითა და მეთოდებით, რომლებიც არ აზიანებს აღმონაცენ-მოზარდს, არ იწვევს მერქნიანი მცენარეების დაზიანებასა და ეროზიულ მოვლენებს. სასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყითსარგებლობა დაიშვება მხოლოდ სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსისა და „ბიოწარმოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის №198 დადგენილების მოთხოვნათა დაცვით.

დადგენილების მიხედვით ბიომეურნეობის მართვა უნდა ეფუძნებოდეს ნიადაგის ნაყოფიერებისა და სიცოცხლისუნარიანობის ღონისძიებების განხორციელებას; აგრეთვე, ბიომრავალფეროვნების, ეკოსისტემების მთლიანობის მაქსიმალურ შენარჩუნებას და წარმოების მეთოდების შერჩევისას, ადგილობრივი და რეგიონული ეკოლოგიური ბალანსის გათვალისწინებით[1].

დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად, მსხვილფეხა რქოსანი და წვრილფეხა პირუტყვის ბიოწარმოებისას გადაძოვების, აგრეთვე ცხოველებით ან ნაკელის მიმოფანტვით გამოწვეული ნიადაგის გამოფიტვის, ეროზიისა და დაბინძურების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, საძოვრის ერთეულ ფართობზე უნდა შეიზღუდოს ცხოველთა რაოდენობა. დადგენილებით განსაზღვრება ცხოველთა მაქსიმალური რაოდენობა ჰექტარზე:

[1] *საქართველოს მთავრობის დადგენილება **30.07.2013 №198** „ბიოწარმოების შესახებ“ **(https://bit.ly/2YwcYLU)***

ცხრილი 1. ცხოველთა მაქსიმალური რაოდენობა ჰექტარზე

კლასი ან სახეობა	რაოდენობა (ეკვივალენტურია – 1 ჰექტარზე წელიწადში 170 კბ აზოტისა)
სახორცე ხბოები	5
სხვა საქონელი ერთ წლამდე	5
ერთიდან ორ წლამდე ასაკის საქონელი	3.3
ორ წელზე მეტი ასაკის მამრი საქონელი	2
სანაშენე და სახორცე მდედრი საქონელი	2.5
მერძეული ძროხა	2
ცხვარი და თხა	13.3

უნდა აღინიშნოს, რომ ერთ ჰექტარზე დასაშვები რაოდენობა განსაზღვრულია მხოლოდ ბიოწარმოებისთვის და სხვა შემთხვევებს კანონმდებლობა არ არეგულირებს. ზემოთნახსენები რაოდენობა საკმაოდ ბევრია, იმ ლიტერატურულ მონაცემებთან შედარებით, რომლებიც დღეისთვის ხელმისაწვდომია.

ცხრილი 1. საძოვრების დატვირთვის ნორმები, 1963 წელი (წყარო: ღუდუშაური 1963, ACTA Consultants Georgia 2007)

1 ჰექტარზე დაფვირთვის ნორმა ზამთრის საძოვრებისთვის	
მამალი ცხვარი (40 კგ)	3
დედალი ცხვარი, რომელსაც შვილი ჰყავს (30-35 კგ)	3
ბატკანი (1 წელზე ქვემოთ)	7.5
ბატკანი (1-დან 2 წლამდე)	6

5. კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება

ხშირად, აქტებში, ვერ ვხვდებით პასუხისმგებელ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაზე, რაც ართულებს აღსრულებას და ამცირებს აქტის მოქმედების ეფექტურობას. ამასთან, იმ პასუხისმგებელ უწყებებს, რომელთაც კანონმდებლობაში გაწერილი ქმედებები უნდა განეხორციელებინათ, ამ დრომდე, არ აქვთ შესრულებული.

გარემოს დაცვის შესახებ კანონის თანახმად, ბუნებრივი ეკოსისტემებით, ლანდ-

შაფტბით და სხვა ტერიტორიებით სარგებლობისას და ათვისებისას დგინდება გარემოზე დატვირთვის ნორმები. ნორმები მოიცავს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კვოტებს, რომლებიც მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით დგინდება სახელმწიფო დონეზე, ხოლო ბუნებრივი რესურსების ცალკეული სახეობებით სარგებლობის კვოტები დგინდება რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე.

გარემოზე დატვირთვის ნორმებს 5 წელიწადში ერთხელ უნდა შემუშავებულიყო და დამტკიცებულიყო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო დებულებით „გარემოზე დატვირთვის ნორმების შესახებ“. დღეისათვის არ არის შემუშავებული დებულება, ერთიანი სამართლებრივი დოკუმენტი, გარემოზე დატვირთვის ნორმების, მათ შორის, საძოვრების შესახებ. შესაბამისად, ყოველგვარი ნორმების გარეშე დგება საძოვრებით სარგებლობა.

გარემოს დაცვის შესახებ კანონის 45-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ბუნებრივი ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ტერიტორიები დაცული უნდა იყოს დაბინძურების, დარღვევის, დაზიანების, დეგრადაციის, გამოფიტვისა და დაშლისაგან. კანონით დაცვას ექვემდებარება:

- ზღვის სანაპირო ზოლი;
- ჭაობები, წყაროსთავები, წყალსატებეის, მდინარეების სათავეები, მყინვარები, მღვიმეები;
- სუბალპური და ჭალის ტყეები;
- ძვირფასი ტყის მასივები;
- მწვანე ზონის ტყეები;
- სანიტარიული დაცვის ზონები და ტერიტორიები.

ჩამონათვალში არ ვხვდებით საძოვრებს, მიუხედავად იმისა, რომ საძოვარი ბუნებრივი ეკოსისტემაა და დღეისათვის, მნიშვნელოვანი გამოწვევაა მათი დეგრადაცია და გამოფიტვა.

საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 18 დეკემბრის №262 ბრძანება „ბიოლოგიური მრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემის ინდიკატორების, მათი აღწერის მეთოდოლოგიებისა და წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე[1]“ განსაზღვრავს ბიოლოგიური მრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემის ინდიკატორებს. ინფორმაციის დამუშავებასა და დამტკიცებული თითოეული ინდიკატორის მიხედვით მონიტორინგს ახორციელებს გარემოს დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური (უნდა აღინიშნოს რომ სამინისტროს რეორგანიზაცია მოხდა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან გაერთიანების შემდეგ შეიცვალა როგორც სამინისტროს დასახელება, აგრეთვე შიდა სამსახურების, თუმცა ნორმატიულ აქტში ჩასწორება არ მომხდარა).

ბრძანების თანახმად, საძოვრების გამოყენების ინტენსივობა დიდ ზეგავლენას ახდენს ბიომრავალფეროვნებაზე, რადგან ინტენსიურად გამოყენებული საძოვრები აზიანებს ეკოსისტემას და დეგრადირების საფრთხეს უქმნის ცხოველთა საარსებო

[1] *საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანება **18.12.2012 №262** „ბიოლოგიური მრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემის ინდიკატორების, მათი აღწერის მეთოდოლოგიებისა და წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ **(https://bit.ly/2zdVadG)***

გარემოს. აგრეთვე, გადაჭარბებული ძოვება ნიადაგის ეროზიულ პროცესებს და ბიომრავალფეროვნების კარგვას იწვევს. ძოვების ინტენსივობის მატება ბიომრავალფეროვნებაზე არსებულ დიდ ზეწოლაზე მიგვანიშნებს და სახეობათა მრავალფეროვნების სიმდიდრის შენარჩუნებისთვის დასახულ მიზანს ეწინააღმდეგება. ამ მიზნით, ზეწოლის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორს წარმოადგენს „P7. საძოვრების გამოყენების ინტენსივობა (საქონლის რაოდენობის ცვლილება მთლიან საძოვრებზე):

ინდიკატორის განმარტება – საძოვრების გამოყენების ინტენსივობის ცვლილება, ერთ ჰექტარზე საქონლის სულადობასთან შეფარდებით.

ინდიკატორის დაანგარიშების პერიოდულობა – ინდიკატორის დაანგარიშება ხდება ყოველწლიურად“.

ბრძანების თანახმად, ინდიკატორის დაანგარიშება ყოველწლიურად უნდა მოხდეს, გარემოს დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის მიერ.

ინდიკატორის დასაანგარიშებლად გარემოს დაცვის სამინისტროს სჭირდებოდა შემდეგი სახის მონაცემები:

1. საქართველოში და მის რეგიონებში სათიბ/საძოვრების ფართობები წლების მიხედვით;
2. მსხვილფეხა საქონლის სულადობა საქართველოში და მის თითოეულ რეგიონში წლების მიხედვით;
3. ცხვრის და თხის სულადობა საქართველოში და მის თითოეულ რეგიონში წლების მიხედვით.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, 2013-2019 წლებში, ინდიკატორის გამოყენებით არ მომხდარა საძოვრების გამოყენების ინტენსივობის გამოთვლა. სამინისტროს მოწოდებული ინფორმაციით, მსგავსი მონაცემები მათ უწყებაში არ იძებნება. შესაბამისად, მონიტორინგი არ ტარდება, მიუხედავად იმისა, რომ ბრძანების თანახმად, ყოველწლიურად უნდა განხორციელებულიყო.

6. ეროვნული სტრატეგიები და მათი შესრულება

6.1 2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისის №343 დადგენილება „2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ადგენს ეროვნულ მიზნებს, რომელთა შესრულებამაც ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას ხელი უნდა შეუწყოს.

ორი ეროვნული მიზანი უკავშირდება სათიბ-საძოვრებს. სტრატეგიის მიხედვით 2020 წლისთვის მნიშვნელოვნად იქნება შემცირებული საფრთხეში მყოფ ბუნებრივ ჰაბიტატებზე მოქმედი ნეგატიური ფაქტორები, ამ ჰაბიტატების სულ მცირე 60%-ის (მათ შორის, ტყის ფონდის სულ მცირე 60%-ის, წყალჭარბი ტერიტორიების 80%-ის, სათიბ-საძოვრების 70%-ის) მდგრადი მართვის უზრუნველყოფის გზით (ეროვნული მიზანი B.1).

აგრეთვე, 2020 წლისთვის გაუმჯობესებულია აგრარული ეკოსისტემების და ბუნებრივი სათიბ-საძოვრების მართვა და კონსერვაცია (ეროვნული მიზანი B4). ამ ეროვნული მიზნის კონკრეტულ ამოცანას წარმოადგენს სოფლის მეურნეობასა და სურსათთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესება, აგროეკოსისტემებისა და ბუნებრივი სათიბ-საძოვრების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენებისთვის (ამოცანა B.4-ო1.) ზემოთნახსენები, მიზნის შესასრულებლად დოკუმენტში გაწერილია კონკრეტული ქმედებები რომელიც უნდა განხორციელდეს, კერძოდ:

- **B.4-ო1.1.** შესაბამისი ცვლილებების შეტანა საქართველოს კანონმდებლობაში საერთო საძოვრების მდგარადი მართვის საფუძვლებისა და პასუხისმგებელი ორგანოების განსაზღვრის მიზნით – 2015 წ – დღემდე არ მომხდარა.
- **B.4.-ო1.2** სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების პრივატიზაციის ან იჯარით გაცემის პირობების შემუშავება – 2014 წ- დღემდე არ მომხდარა
- **B.4.-ო1.6.** დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრებისათვის მდგრადი მართვის გეგმების შემუშავება. – 2014-2020 წწ.

6.2 კახეთის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგია

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 სექტემბრის №1366 განკარგულებაში „კახეთის რეგიონის განვითარების 2014-2021 წლების სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“[1] ვკითხულობთ რომ ცხოველთა დიდი რაოდენობით ძოვების გამო, დაწყებულია გაუდაბნოების პროცესი. განსაკუთრებით, ეს პროცესი თვალსაჩინოა საგარეჯოსა და დედოფლისწყაროში. მიუხედავად ამისა, სტრატეგია არ განსაზღვრავს კონკრეტულ მიზანს და ამოცენებს, რომლებიც ამ პრობლემის გადაჭრისკენ იქნებოდა მიმართული.

[1] *საქართველოს მთავრობის განკარგულება **17.09.2013 №1366** „კახეთის რეგიონის განვითარების 2014 – 2021 წლების სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე **(https://bit.ly/3b6DlKM)***

6.3 საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის თანახმად[1], კანონმდებლობა არ განსაზღვრავს საერთო საძოვრების მდგრადი გამოყენების ინსტიტუციურ ჩარჩო-პირობებს, არ ხდება მათი გამოყენების კონტროლი და არ მიმდინარეობს საძოვრების მდგრადი მართვის პრინციპების დაცვა. კანონმდებლობით განსაზღვრულია ძოვების ნორმების დადგენა მხოლოდ მაღალმთიანი საძოვრებისთვის და არა ზამთრის საძოვრებისთვის.

სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ ვაშლოვანის ეროვნული პარკი და მიმდებარე ტერიტორიები, ალპური და სემიარიდული სათიბ-საძოვრები საფრთხის ქვეშაა უსისტემო ძოვების გამო. აგრეთვე, სასწრაფო ღონისძიებები გატარებაა საჭირო, რადგან თავიდან ავიცილოთ შეუქცევადი პროცესები და კიდევ არ მოხდეს საძოვრების მდგომარეობის გაუარესება.

სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფერო გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვაა, რომლის სამი ძირითადი ამოცანიდან პირველი მიზნობრივ სოფლის ტერიტორიებზე წყლის, ტყისა და სხვა რესურსების მართვის გაუმჯობესებაა.

სტრატეგიის 2018 წლის სამოქმედო გეგმაში 2018-2020 წლის მანძილზე საძოვრებთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი აქტივობა იყო დასახელებული – მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენება. უცნაურია, მაგრამ ამ აქტივობის ინდიკატორად შემდეგი სახის ჩანაწერს ვხვდებოდით: „2018 წელს უკანაფშავის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული კოოპერატივისათვის აშენდება და ტექნიკით აღიჭურვება რძის გადამამუშავებელი საწარმო“[2]. გაუგებარია, როგორ გაზომავდა ეს იდიკატორი მაღალმთიან რეგიონებში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენებას.

2019 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027 წლებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის, საძოვრების და სათიბების ფართობების შესახებ 2004 წლის მონაცემებია გამოყენებული. რაც მეტყველებს იმაზე, რომ უახლეს მონაცემებს არ ვფლობთ ქვეყანაში არსებულ მიწის რესურსთან დაკავშირებით, შესაბამისად, რთულია სტრატეგიის დაგეგმა.

სტრატეგიია მოიცავს საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის მხოლოდ 2017-2018 წლების ძირითად შედეგებს. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვასთან დაკავშირებით არც ერთი მიღწეული შედეგი არ არის უშუალოდ დაკავშირებული საძოვრების მდგრად მართვასთან.

---

[1] *საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 სტრატეგია (https://bit.ly/3djnLx3)*

[2] *საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა (https://bit.ly/3fo4OLC)*

2021-2027 წლების სტრატეგიის სამი მიზნიდან ერთი კვლავ ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას, ეკოსისტემების შენარჩუნებასა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას უკავშირდება. ზემოთნახსენები მიზნის მისაღწევად კი, რამდენიმე ამოცანაა ჩამოთვლილი:

- გარემოსთან ადაპტირებული, კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელება და ბიო/ორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობა;
- ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
- ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება;
- ენერგო-ეფექტური და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების და პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა;
- აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

ხაზგასასმელია, რომ არც ერთი ამოცანა და მათი ქმედებები, 2021-2023 წლებში[1], არ უკავშირდება საძოვრების მდგრად მართვას.

7. დაცული ტერიტორია და საძოვრები

საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“[2] გამოყოფს დაცული ტერიტორიის კატეგორიებს სადაც დაშვებულია საძოვრებით სარგებლობა. კანონის მე-5 მუხლის თანახმად ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში დაშვებულია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებითა და ბუნებრივი პროდუქტიულობით ლიმიტირებული თიბვა, ძოვება, საშეშე მერქნის მოპოვება და სხვა საქმიანობა.

აგრეთვე, აღკვეთილში მკაცრი კონტროლის პირობებში დაშვებულია ცალკეული განახლებადი რესურსების მოხმარება. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა, ეროვნულ პარკთან ერთად, დასაშვებია დაცულ ლანდშაფტებსა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებში.

სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის, ბუნების ძეგლისა და აღკვეთილის ტერიტორიები და ამ ტერიტორიებზე არსებული ბუნებრივი რესურსები მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაა და დაუშვებელია ამ ტერიტორიებისა და მათზე არსებული ბუნებრივი რესურსების ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის სარგებლობაში გადაცემა, გარდა შემდეგი გამონაკლისებისა:

1. ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონისა;
2. მენეჯმენტის გეგმით ან დროებითი რეგულირების წესით განსაზღვრული აღკვეთილის ცალკეული უბნებისა;

[1] *საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021 – 2023 წლების სამოქმედო გეგმა* ***(https://bit.ly/2L2dljU)***

[2] *საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, 1996 წ* ***(https://bit.ly/3fl7pWD)***

ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში და აღკვეთილის ცალკეულ უბნებ ში დაშვებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარდგინების საფუძველზე, ადგილობრივი მოსახლეობისათვის, მენეჯმენტის გეგმით ან დროებითი რეგულირების წესით დადგენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სათიბი და საძოვარი) მიწის ნაკვეთის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემა არა უმეტეს 10 წლისა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 4 იანვრის №2-4 ბრძანების „საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ[1]“ თანახმად, დასახვეწია დაცულ ტერიტორიების ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში და აღკვეთილის ცალკეული უბნების მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის პროცედურა და ინსტიტუციური ჩარჩო.

სტრატეგიის ერთ-ერთ მიზანს საძოვრების ტრადიციული და მდგრადი გამოყენებისთვის იჯარით გაცემის სისტემის დახვეწა და ადგილობრივ მოსარგებლეებთან საიჯარო ხელშეკრულებების გაფორმება წარმოადგენს (მიზანი 2.3.3). განხორციელების პერიოდი კი 2018-2021 წლებია, რა დროსაც ყველა შესაბამის დაცულ ტერიტორიაზე უნდა გაფორმდეს საიჯარო ხელშეკრულებები.

სტრატეგიის კიდევ ერთ მიზანს, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა წარმოადგენს (მიზანი 4), რაც მოიცავს დაცულ ტერიტორიებზე მდგრადი სარგებლობისთვის განკუთვნილი ბუნებრივი რესურსების შეფასებას, მათი მართვის ეფექტური ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვასა და თითოეული დაცული ტერიტორიისთვის შესაბამისი მართვის გეგმების შემუშავებას.

მიზნის შესასრულებლად, 2018-2021 წლებში დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, შემდეგი ქმედებები უნდა განხორციელდეს:

- დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრების ინვენტარიზაცია, საძოვრების მართვის გეგმებისა და რუკების მომზადება;
- საძოვრების შეფასება და კატეგორიზაცია.

ამოცანა 4.2 კი გულისხმობს მდგრადი სარგებლობისთვის განკუთვნილი ბუნებრივი რესურსების მართვის ეფექტიანი ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვასა და შესაბამისი მართვის გეგმების შემუშავებას თითოეული დაცული ტერიტორიისთვის. ამისთვის კი, ყველა შესაბამისი დაცული ტერიტორიისთვის უნდა შემუშავდეს საძოვრების მდგრადი მართვის გეგმები.

საბუკომ გამოითხოვა ინფორმაცია სტრატეგიაში დასახელებული ქმედებების შესრულებასთან დაკავშირებით. კერძოდ:

- ეროვნულ პარკებში საძოვრებად გამოყენებული ჰაბიტატების შეფასების მასალები;
- დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრების ინვენტარიზაციის ანგარიშები,

[1] *საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება* ***4.01.2019 №2-4*** *„საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“* ***(https://bit.ly/2YMVuLx)***

საძოვრების მართვის გეგმები და შესაბამისი რუკები;

- დაცულ ტერიტორიებზე საძოვრების მდგომარეობის შეფასების და კატეგორიზაციის ანგარიშები;
- მოხდა თუ არა საძოვრების ტრადიციული და მდგრადი გამოყენებისთვის იჯარის გაცემის სისტემის დახვეწა და რამდენ ადგილობრივ მოსარგებლესთან და რომელ დაცულ ტერიტორიებზე მოხდა იჯარის ხელშეკრულების გაფორმება;

დაცული ტერიტორიების ინფორმაციით, დღეისათვის, იჯარით გაცემულია:

- ჯავახეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არსებული საძოვრები (11 მოიჯარე);
- ქცია-ტაბაწყურის ტერიტორიაზე არსებული საძოვრები (39 მოიჯარე);
- ლაგოდეხის აღკვეთილის ტერიტორიაზე არსებული საძოვრები (14 მოიჯარე);

უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგია საძოვრების მართვის გეგმების შემუშავებას არ ითხოვს მხოლოდ იმ დაცული ტერიტორიებისთვის, რომლებიც იჯარითაა გაცემული.

გამოგზავნილი დოკუმენტაციიდან, საძოვრების მენეჯმენტის გეგმა მხოლოდ ლაგოდეხის დაცული ტერიტორიისთვისაა, დანარჩენ შემთხვევაში – არსებული სიტუაციის, მცენარეულის შეფასების ანგარიშებია წარმოდგენილი.

უცნობი დარჩა, მხოლოდ ამ ზემოთჩამოთვლილ დაცულ ტერიტორიის საძოვრების მართვის გეგმა გააჩნია თუ არა სააგენტოს. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ პასუხგაუცემელი საკითხების შესახებ, სამუშაოები ამ დრომდე არ ჩატარებულა.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმების არ არსებობა.დაცული ტერიტორიები, რომელთაც არ გააჩნიათ მენეჯმენტის გეგმა, იმართება დროებითი რეგულირების წესით, რომელიც არის დაცულ ტერიტორიებზე დაშვებული საქმიანობის განმსაზღვრელი და სამენეჯმენტო ქმედებებით დაგეგმილი დროებითი სახელმძღვანელო დოკუმენტი. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 იანვრის №84 დადგენილებით[1] დამტკიცებულია „ჭაჭუნის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი“ და „ივრის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი“.

დროებითი რეგულირების წესის მიზნებია ჭაჭუნას აღკვეთილში ბუნებრივი რესურსების მოვლა, დაცვა, აღდგენა და ამ რესურსებით რაციონალური სარგებლობა; ჭალის ტყის ეკოსისტემის დაცვის, მოვლისა და აღდგენის უზრუნველყოფა. აღკვეთილის მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისთვის დასაშვებია ძოვება (ტყით დაუფარავ ფართობში), საქონლის სატრანზიტო გადარეკვა იმ შემთხვევაში, თუ საქონლის გადარეკვა სხვა მხრიდან შეუძლებელია. ჭაჭუნას აღკვეთილი შედგებოდა მართვადი დაცვისა და ტრადიციულად გამოყენებული ზონებისგან, თუმცა 2019 წლის 2 ივლისს შესული ცვლილებით ამოიღეს ის მუხლები, რომლებიც განსაზღვრავდა ჭაჭუნას აღკვეთილის ზონებსა და მართ ფართობებს. აგრეთვე, შეიცვალა ჭაჭუნას აღკვეთილის ფართობი და 5200 ჰექტრიდან შემცირდა 5032 ჰა-მდე.

საინტერესოა, ის გარემოება, რომ ჭაჭუნას აღკვეთილი არასასოფლო-სამეურნეო მიწას წარმოადგენდა 2019 წლის დეკემბრამდე, შესაბამისად არასასოფლო-სამეურნეო

[1] *საქართველოს მთავრობის დადგენილება **16.01.2014 №84** ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე **(https://bit.ly/3fksctj)***

მიწა ვერ იქნებოდა გამოყენებული საძოვრად. უნდა აღინიშნოს, რომ ჭაჭუნას აღკვეთილის ტერიტორიის დემარკაციის დროს ხარვეზით მომზადებული საკადასტრო-აზომვითი ნახაზის რეგისტრაციის შედეგად, ჭაჭუნას აღკვეთილის მიწის ნაკვეთს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სტატუსი მიენიჭა, თუმცა ტერიტორია ყოველთვის საძოვრად გამოიყენებოდა. ხარვეზის გასწორება 2019 წლის ბოლოსკენ მოხდა და საზღვრების დემარკაციის დროს ჩასწორდა ტერიტორიის სტატუსი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწად, რაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა საძოვრების მდგრადი მართვის მსვლელობისას.

8.1 საქართველოს კანონი „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ[1]“

სასოფლო-სამეურნეო მიწის მართვასთან დაკავშირებით, დღეისათვის, ძალაშია ორი უახლესი ნორმატიული აქტი, რომელთაც ახლებურად არეგულირებს როგორც მიწის საკუთრებასთან, აგრეთვე მათ მართვასთან დაკავშირებული საკითხებს. ეს საკანონმდებლო აქტებია:

- საქართველოს ორგანული კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“[2];
- **საქართველოს კანონი „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ[3]“**

2019 წლის 25 ივნისიდან ნაწილობრივ ამოქმედდა საქართველოს კანონი „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“, რომელმაც ჩაანაცვლა 1997 წლის 2 ოქტომბერს მიღებული საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“.

ძველი კანონისგან განსხვავებით განისაზღვრა რეგულირების სფერო:

- მიწის მიზნობრივი დანიშნულებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება;
- მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების წესის განსაზღვრა;

---

[1] საქართველოს კანონი „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“, 2019 წ (https://bit.ly/3fn7GZ1)

[2] საქართველოს ორგანული კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, 2019 წ (https://bit.ly/3ciW8nX)

[3] დოკუმენტის მიზნებიდან გამომდინარე, განხილული იქნება მხოლოდ საქართველოს კანონი „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო მიწის მდგრადი მართვის შესახებ“.

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის პრინციპების მოწესრიგება;
- სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის ეროვნული სააგენტოს სტატუსისა და მისი საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების რეგულირება.

ახალი კანონით ჩამოთვლილია ის საქმიანობები, რომლისთვისაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად; არასასოფლო-სამეურნეო კულტურების (კოინდარის, ყვავილების, ეთერზეთების საწარმოებელი მცენარეების, სამედიცინო მცენარეებისა და სხვა კულტურების) მოსაყვანად; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობისათვის (ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის, პირუტყვის გადასარეკი ტრასისა და მოსასვენებელი მოედნის, შიდასამეურნეო გზის და სხვა ფუნქციით); სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის ან/და სასწავლო საქმიანობისათვის; საკარმიდამოს ან/და საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად. ამ მიწის ნაკვეთზე შეიძლება განთავსებული იყოს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, სამეურნეო ნაგებობა ან/და დამხმარე ნაგებობა.

გაუგებარია, თუ რატომ არ არის კანონში მითითებული რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყენება შესაძლებელია სათიბად, საძოვრად და სახნავად.

მნიშვნელოვანია, ორი საკითხი, რომელიც ორგანულმა კანონმა განსაზღვრა:

- მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს სტატუსი და მისი საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლების განსაზღვრა;
- მიწის მიზნობრივი დანიშნულების სტატუსის შეცვლის საკითხი.

8.2 მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის №112 დადგენილებაში „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 14 იანვარს შესული ცვლილებით ჩამოყალიბდა სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო.

ცვლილების განხორციელებამდე მიწის რესურსების მდგრადი მართვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა უნდა მიეღო გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტს, ხოლო მიწის რესურსების ბუნებრივი თუ ანთროპოგენული ფაქტორებისგან დაცვის მექანიზმების განსაზღვრა

და განხორციელების კოორდინაცია ევალებოდა გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტს.

აგრეთვე, გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის მოვალეობებში აღარ შედის გაუდაბნოების, მიწის დეგრადაციის პროცესის შერბილების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელების კოორდინაცია ეროვნულ დონეზე, ისევე როგორც, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვის რეგულირება და კოორდინაცია. ზემოთნახსენები მოვალეობების დაეკისრა ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტს. კერძოდ:

- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიწის რესურსების მდგრადი მართვისა და კლიმატის ცვლილების სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;
- მიწის რესურსების ბუნებრივი თუ ანთროპოგენული ფაქტორების ზემოქმედებისგან დაცვის მექანიზმების განსაზღვრა და განხორციელების კოორდინაცია;
- გაუდაბნოების, მიწის დეგრადაციის პროცესის შერბილების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელების კოორდინაცია ეროვნულ დონეზე;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 26 დეკემბრის №2-1258 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს დებულება[1], რომელიც ძალაში 2020 წლის 1 იანვრიდან შევიდა.

დადგენილების თანახმად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს რეორგანიზება მოხდა მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულ სააგენტოდ.

სააგენტოს სამი ფუნქცია აქვს:

1. მიწის ბალანსის შედგენა;
2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვა და მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;
3. მიწათსარგებლობის სახელწიფო მონიტორინგი და შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

მნიშვნელოვანია ის, რომ სააგენტო უშუალოდ არ განახორციელებს ნიადაგის დეგრადაციასთან ბრძოლის ქმედებებს, თუმცა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის დეპარტამენტი მონაწილეობას მიიღებს მიწის დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის ღონისძიებების დაგეგმვაში. აგრეთვე, სააგენტო მონაწილეობას მიიღებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების მიზნობრივი გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. სააგენტოში იქმნება მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელსაც მიწათსარგებლობის მონიტრინგი ევალება.

[1] *საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის **26.12.2019 №2-1258** „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ **(https://bit.ly/3b4QbcO)***

8.3 მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილება

სასოფლო-სამეურნეო მიწის და მათი არასასოფლო-სამეურნეო მიწის სტატუსით შეცვლა იწვევდა სასოფლო-სამეურნეო მიწის დაკარგვას, მათ შორის საძოვრების. სამწუხაროდ, დღემდე არ გვაქვს ინფორმაცია წლების განმავლობაში თუ რა ფართობის საძოვრებს შეეცვალა სტატუსი და მოხდა მათი გადაყვანა არასასოფლო-სამეურნეო მიწის კატეგორიაში[1].

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №487 ბრძანება „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე[2] განსაზღვრავს მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის საკითხს.

მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლას ახორციელებს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შევლა შესაძლოა განხორციელდეს ორ შემთხვევაში:

1. საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში;
2. სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების დასაბუთებული აუცილებლობის არსებობის შემთხვევაში.

ნორმატიულ აქტებში არ განიმარტება რას ნიშნავს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება.

საქართველოს კანონმა „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ განსაზღვრა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიების და მათი ცვლილება. კერძოდ, კანონით განისაზღვრა მიწის ნაკვეთის კატეგორიის ცვლილება.

- საძოვრისთვის დასაშვებია სათიბის, სახნავის (მათ შორის, მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული) ან საკარმიდამოს კატეგორიის მინიჭება);
- სათიბისთვის – სახნავის ან საკარმიდამოს;
- სახნავისთვის – საკარმიდამოს.

კანონის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის ცვლილების გარეშე მისი უფრო მაღლი ინტენსივობის კატეგორიისათვის გათვალისწინებული დანიშნულების სისტემატურად გამოყენება დაუშვებელია. კანონი არ განმარტავს რომელია მაღალი ინტენსივობის კატეგორია, თუმცა დანომვრის მიხედვით შესაძლებელია მივიჩნიოთ რომ საძოვარია.

---

[1] საჯარო რეესტრს დღემდე (23.03.2019) არ მოუწოდებია ეს მონაცემები.

*[2] საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება **31.12.2019 №487** „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე **(https://bit.ly/35zD8Pt)***

კანონმა დაუშვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სასოფლო-სამეურნეოში გადაყვანა, რაც აქამდე არ რეგულირდებოდა საქართველოს კანონმდებლობით. ჩანაწერი კონკრეტულია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების დროს და განსაზღვრავს, რომ ცვლილება დასაშვებია თუ დასტურდება, რომ ეს მიწის ნაკვეთი ამ მიზნით არ გამოიყენება და შესაძლებელია მისი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება.

ამგვარად არსებობს რამდენიმე სახის ცვლილება:

1. სასოფლო – სამეურნეო მიწის ნაკვეთის არასასოფლო-სამეურნეო ნაკვეთში გადაყვანა;
2. არასასოფლო-სამეურნეოს – სასოფლო სამეურნეოში;
3. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის კატეგორიების ცვლილება:

- საძოვრის – სათიბში, სახნავში ან საკარმიდამოში;
- სათიბის – სახნავში ან საკარმიდამოში;
- სახნავის – საკარმიდამოში.

საქართველოს კანონის თანახმად, „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ კანონის მიზნებს წარმოადგენს:

- მიწის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფა;
- მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა;
- მიწის ბალანსის შედგენის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა;
- მიწის მიზნობრივი გამოყენებისა და სახელმწიფო მონიტორინგის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა.

მიუხედავად, ზემოთჩამოთვლილი მიზნებისა, საქართველოს კანონმდებლობაში, ვაკუუმი რჩება საძოვრების მართვასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ 2019 წელს მიღებული ორგანული კანონი, წესით უნდა არეგულირებდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის მდგრად მართვას და ითვალისწინებდეს რაციონალური გამოყენების პრინციპებს, არაფერს ამბობს როგორ უნდა მოხდეს და დარეგულირდეს ეს საკითხი, კვლავ არ განისაზღვრა რეგულაციები ზამთრის საძოვრების მართვასთან, როტაციულ ძოვებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული კვლევის მომზადება შესაძლებელი გახდა ლისბეტ რაუსინგისა და პიტერ ბოლდვინის საქველმოქმედო ფონდი არკდიას მხარდაჭერით. ნაშრომში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს საბუკოს შეხედულებებს.